საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 17 05/04/2021

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის N 50/48განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63 -ე მუხლის საფუძველზე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 ნოემბრის N 50/48 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს დასაფინანსებელი პროექტების განსაზღვრის შესახებ“ და მოწონებული იქნეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი N1 დანართი -ით განსაზღვრული პროექტები (დანართი თან ერთვის) :

მუხლი 2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე